

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიშის შესახებ**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ასევე მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური მაჩვენებლები**

(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა	ხაზინის მიერ გატარებული	საკასო შესრულება
შემოსავლები	11,205,10	11 076,18	11,076.18
გადასახადები	335,0	389,05	389.05
გრანტები	8.627,50	8,610,58	8,610.58
სხვა შემოსავლები	2,242.60	2,076,55	2,076.55
ხარჯები	6,020,7	5 895,63	5 895,63
შრომის ანაზღაურება	1 544,6	1 550.35	1,550.35
საქონელი და მომსახურება	1 122,2	663.47	663.47
პროცენტი		-	-

სუბსიდიები	2 635,7	2 724,16	2 724,16
გრანტები	200	197,01	197,01
სოციალური უზრუნველყოფა	518,2	462,28	462,28
სხვა ხარჯები		298,36	298,36
საოპერაციო სალდო	5 184,4	5180,55	5180,55
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 574,9	4 867,65	(4,867.65)
ზრდა	5 687,9	5 069,01	5,069.01
კლება	113	201,36	201.36
მთლიანი სალდო	-390,5	312,9	312,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-390,5	305.1	305.1
ზრდა	0	305.1 -	305.1
ვალუტა და დეპოზიტები			
კლება	390,5	0	-
ვალუტა და დეპოზიტები	390,5	0	-
ვალდებულებების	0	7.79	(7.79)
ზრდა		-	-
საგარეო		-	-
საშინაო		-	-
კლება	0	7.79	7.79
საგარეო		-	-
საშინაო	0	7.79	7.79
ბალანსი	0	0.0	0.0

2015 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 422,5 ათას ლარს. (აქედან - 32,0 ათასი ლარი სახაზინო ანგარიშზე დაირიცხა 31,12,2014 წელი , ხოლო მუნიციპალიტეტის ანგარიშზე 2015 წლის იანვრის დასაწყისში აისახა)

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა


(ათას ლარებში)

დასახელება	წლიური გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება%-ში
შემოსულობები	11,318.10	11,277.54	99.64
შემოსავლები	11,205.10	11,076.18	98.85
არაფინანსური აქტივების კლება	113.00	201.36	178.19
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
გადასახდელები	11,708.12	10964.64	93.17
ხარჯები	6 020.7	5 895.63	96.78
არაფინანსური აქტივების ზრდა	5687.9	5,069.01	89.28
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
ნაშთის ცვლილება	-390.5	312.9	


2016 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 727,57 ათასი ლარი. მათ შორის: 2015 წლის ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 305.1 ათასი ლარი.

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11,318.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11,277.54 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99,6%.



სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:




I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 11205,1 ათასი ლარი ფაქტიურად 11076,18 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 98,8% შეადგინა.



I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 389,05 ათასი ლარი, გეგმის 335,0 ათასი ლარის 118,2%. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 389,05 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 335,0 ათასი ლარის 118,2%., მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან - 279,4 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 106,1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან - 3,5 ათასი ლარი. ქონების გადასახადის დინამიკა წლების მიხედვით ასეთია:



II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 8610,6 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 8 627,5 ათასი ლარი მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 3130,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 183,0 ათასი ლარი, სხვა ტრანსფერები - 5314,1 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების ჩარიცხვის დინამიკა ასეთია:



პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 42,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 40,0 ათასი ლარი, 105.3%.


რენტის სახით მოზილზებულია 1462.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1628.5 ათასი ლარი) 89.8%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1460.0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2.0 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 37.1 ათასი ლარი შეადგინა, რომელმაც გეგმას (14.7 ათასი ლარი) 2.5-ჯერ აღემატება. სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 29,5 ათასი ლარი (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 29,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 0,5 ათასი ლარი).

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 7,5 ათასი ლარი, გეგმის (7.0 ათასი ლარი) 107.1%.


მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 0,9 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 110,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (115.0 ათასი ლარი) _ 96,4% შეადგენს. ჯარიმების დინამიკა წლების მიხედვით ასეთია:




შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 423,5 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 9,3 ათასი ლარი, სადაზღვევოს მიერ გადახდილი გარანტიის თანხა – 413,8 ათასი ლარი, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების – 0,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 201,3 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 74,3 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან – 4,0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 123,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლების დინამიკა ასეთია:




ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 11 708,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10,972.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.7%-ია. მათ შორის:



ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6,020.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5,895.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.9%-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5,687.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5,069.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89,2%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7,79 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია.



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,544.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,550.3 ათასი ლარი; მ/შორის თანამდებობრივი სარგო 1,418.87 ათასი ლარი; პრემია 131.05 ათასი ლარი; კომპენსაცია 0.43 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100,4%-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 417.12 ათასი ლარი
ხელფასები 417.12 ათასი ლარი
ხელფასები ფულადი ფორმით 417.12 ათასი ლარი
თანამდებობრივი სარგო 380.67
პრემია 36.45
2. გამგეობა: შრომის ანაზღაურება 1041,27 ათასი ლარი
ხელფასები 1041,27 ათასი ლარი
ხელფასები ფულადი ფორმით 1041,27 ათასი ლარი
თანამდებობრივი სარგო 953,38 ათასი ლარი
პრემია 87,45 ათასი ლარი
კომპენსაცია 0,43 ათასი ლარი
3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 91,97 ათასი ლარი
ხელფასები 91,97 ათასი ლარი
ხელფასები ფულადი ფორმით 91,97 ათასი ლარი
თანამდებობრივი სარგო 84,82 ათასი ლარი
პრემია 7,15 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 122.2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 663,5 ათასი ლარი,(ცნობისათვის ხაზინის ელექტრონული სისტემის მოთხოვნით ხდება მუხლებს შორის ცვლილება, კერძოდ „საქონელის და მომსახურების“ მუხლი გატანილია სხვა ხარჯებში, ამიტომაც არის შემცირებული) რაც გეგმის 59 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 137,9 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 20,2 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 10,80 ათასი ლარი; გამგეობა 8.57 ათასი ლარი, თავდაცვას 0,83 ათასი ლარი.
- ✓ ოფისის ხარჯები - 130,9 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 11.55 ათასი ლარი, გამგეობას 92,38 ათასი ლარი, თავდაცვას 29,97
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 14,7 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 4,5 ათასი ლარი; გამგეობას 10,2 ათასი ლარი.
- ✓ რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 0,4 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 0,12 ათასი ლარი, გამგეობას 0,21 ათასი ლარი, თავდაცვას 0,7 ათასი ლარი.
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 146,7 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 54,42 ათასი ლარი; გამგეობას 71,25 ათასი ლარი,
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 212,5 ათასი ლარი. მ/ შორის საკრებულოს 131,90 ათასი ლარი, გამგეობა-23,96 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2,635,7 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2,724,16 ათასი ლარი, რაც გეგმის 103,3%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია - 477,1 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 718,5 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება - 94,5 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 16,2 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 517,3 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 761,6 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 0,3 ათასი ლარი;

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 84,7 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 41,4 ათასი ლარი.

„გრანტის“ მუხლიდან განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სახელმწიფოს სამსახურის დაფინანსება გეგმით გათვალისწინებული იყო 200,0 ათასი გაიხარჯა 199,9 ათასი ლარით.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 518,2 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 516,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.6 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - **91,1** ათასი ლარი;
- დაკრძალვის ხარჯები - 2,5 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა დახმარება - 9,9 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 12,3 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 208,9 ათასი ლარი გაიხარჯა 201,75 ათასი ლარი.
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 192,6 ათასი ლარი. გაიხარჯა 198,64 ათასი ლარი.(ცნობისათვის მოხდა ქვეპროგრამებს შორის თანხის გადატანა)


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 298,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 298,6 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 100%ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:


- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 55,1 ათასი ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 28,7 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - 188,2 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა -

3,6 ათასი ლარი;

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 9,6 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 4,8 ათასი ლარი.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 – თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 -ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება და კულტურა, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2075,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 153,1 ათასი ლარი) 96,3% შეადგენს.

■ თავდაცვის სფეროში დაგეგმილ იქნა 117,5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 114,1ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%.

■ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 200,0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 199,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.9%.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6116,4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3635,37 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 59,4 %.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა

86,2 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 84,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,2%, მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 84,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (86,2 ათასი ლარი) 98,2%;

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 804,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 517,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 64,3%.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 830,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 829,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,9%, მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებამ გეგმით შეადგინა 716,1 ათასი ლარი გაიხარჯა 718,5 ათასი ლარი.

✓ ზოგადი განათლების სფეროს ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 16.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (19,5 ათასი ლარი) 83,1%-ს შეადგენს.

✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 94,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (94,5 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 518,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 516,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,6%, მათ შორის:

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 197,8 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 198,1 ათასი ლარი.

2015 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	2153,1	2,075.21
702	თავდაცვა	117,5	114.11
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება,	200.00	199.86
704	ეკონომიკური საქმიანობა,	6116,4	3635,37
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	378,9	2160.66
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	86.20	84.67
708	-დასვენება და კულტურა,	1308,2	1,312.06
709	განათლება	830,1	829.16
710	სოციალური დაცვა	518,2	516,3
	სულ ჯამი	11708,6	10927,4

ვალდებულებების დაფარვა

2015 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილი იქნა 7,8 ათასი ლარი, საიდანაც გადაირიცხა სახრები: სტიქიის შედეგად დაზარალებულების დახმარებისთვის – 5,7 ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დახმარებისთვის – 0,3 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის – 1,0 ათასი ლარი და ოჯახებისა და ბავშვთა დახმარებისათვის – 0,8 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი

2015 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 45910 ლარი.

სარეზერვო ფონდიდან გადარიცხული თანხები

(ლარი)

#	განკარგულების/ ბრძანების #	განკარგულების/ ბრძანების თარიღი	განკარგულების / ბრძანების შინაარსი	თანხა
ბრძანებები				
1	A438	18,03,2015	სოფელ ბასილეთში აფხაზეთის ომში დაღუპული გურამ უჯმაჯურიძის სასაფლაოს მოწყობა.	1233,0
2	439	18,03,2015	მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის მოწყობისათვის	4540,0
3	329	16,02,2015	სოფლებში შუაფარცხმა, ხიდისთავი, კოხნარში, დაბის ცენტრში და გაგეობის შენობაში სხვადასხვა დაზიანებული ობიექტების შეკეთებისათვის	8400,0
4	569	14,04,2015	ზემო სურების მოსახლეობისათვის ელექტრო მრიცხელებისა და ავტო ამომრთველის შესაძენად	1350
5	561	8,04,2015	სოფ. ბუკისციხის დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენისათვის	2529,0
6	550	7,04,2015	შუა ამაღლების საჯარო სკოლის ეზოს შემოდობვითვის	450,0
7	613	20,04,2015	სოფ. ერკეთში წყლის ავზის შეკეთებისთვის	120,0
8	612	20,04,2015	სოფ. ზემო სურებში მიკროპქესის სარეაბილიტაციოთ	600,0
9	244	5,02,2015	სოფ. კოხნარში სასმელი წყლისდაზიანებული მაგისტრალის აღდგენა	427,0
10	457	25,03,2015	სოფ. შუა ამაღლების საბავშვო ბაღში სალექარის მოწყობა	1146,0
11	715	8,05,2015	მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის მოწყობისათვის ტრიბუნების მოწყობა	1800,0
12	791	12,06,2015	მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის შესასვლელის და დამცავი ბარიერის მოწყობა	4400,0
13	835	17,06,2015	ერკეთის სოფლებში დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალი	4556,0
14	954	6,07,2015	სტიქიის შედეგად დაღუპული ივლიტა ჯიბუტის სახ. ბიბლიოთეკა	3000,0
15	1016	14,07,2015	მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ ასფალტბეტონის მოწყობა	4375,0
16	1109	3,08,2015	სოფ. შუა ამაღლების ხიდის შეკეთება	400,0
17	1211	2,09,2015	ჯვარცხმაში მცხოვრებ ლია იოსებიძის ელ. ენერჯის დავალიანების დაფარვა	200,0
18	1404	6,10,2015	ზემოხეთის მცხოვრებ დავით მჭავიას დახმარება	2000,0
19	1678	18,11,2015	სოფ. კოხნარის მკვიდრ მედიკო იმნაძის დახმარება (სტიქია)	1500,0
20	1539	23,10,2015	გუთურის ადმინისტრაციული შენობის ოთახების გატიხვრა	1484,0
21	1714	26,11,2015	გორაბერეჟეულის მცხოვრებ გოჩა მამალაძის დახმარება (სტიქია)	900,0
22	1875	23,12,2015	სოფ. ამაღლების მცხოვრებ იზა ვაჩიშვილის (მეურვე) დახმარება	500,0

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული
პროგრამები:**


- ❖ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა - 1,338.9 ათასი ლარი;
- ❖ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 532,0 ათასი ლარი;
- ❖ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2359,7 ათასი ლარით;
- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 588,0 ათასი ლარი;
- ❖ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 1,020.4 ათასი ლარით;

- ❖ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება - 2,0 ათასი ლარი;
- ❖ სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 718,5 ათასი ლარი;
- ❖ ზოგადი განათლების დაფინანსება - 16,2 ათასი ლარი;
- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 94,5 ათასი ლარი;
- ❖ სპორტული ობიექტების დაფინანსება - 517,3 ათასი ლარი;
- ❖ კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 761,6 ათასი ლარი;
- ❖ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 4,9 ათასი ლარი;
- ❖ საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 18,7 ათასი ლარი;
- ❖ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 9,6 ათასი ლარი;
- ❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 84,7 ათასი ლარით;
- ❖ დაკრძალვის ხარჯები - 2,5 ათასი ლარით;
- ❖ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - 91,1 ათასი ლარით;
- ❖ ლტოლვილთა დახმარება - 9,9 ათასი ლარით;
- ❖ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 12,3 ათასი ლარით;
- ❖ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 201,8 ათასი ლარით;
- ❖ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 198,7 ათასი ლარით;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

1. თავდაცვა უსაფრთხოება;
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
3. განათლება;
4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პრიორიტეტების მიხედვით სახსრების გადანაწილების სტრუქტურ შემდეგია:



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

1. თავდაცვა და უსაფრთხოება დაფინანსებულია 314,0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 317.5 ათასი ლარის 98,8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 163¹ –ე მუხლისა და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 31–ე მუხლის შესაბამისად განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებებისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაფინანსება რისთვისაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გახარჯული იქნა 199,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (200,0 ათასი ლარი) 99,9 პროცენტი.

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული იყო 117.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 114,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 97,2 პროცენტი. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგის სახის აქტივობები: გამწვევი კომისის ფარგლებში ჩატარდა 20 სხდომა სადაც მიღებული იქნა 244 გადაწყვეტილება, მათ შორის სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ 85, ხოლო გადავადების შესახებ 159, თბილისის შემკრებ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილი იქნა 79 წვევამდელი. აქედან გეგმით გათვალისწინებული 12 წვევამდელის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხული იქნა 21 წვევამდელი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადავადდა 58 გაწვევა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დაფინანსებულია 5841,0 ათასი ლარით რაც გეგმის (5845,8 ათასი ლარი) 99,9 პროცენტია;

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 1338,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (1368,5 ათასი ლარი) 97,8 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დაბა ჩოხატაურში ჩიჩუას, გოგებაშვილის, ჯალაღონიას, ფიროსმანის,

გოგობერიძის, სოფ. ბუკისციხის სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე და ქუჩებზე ასფალტ ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობა, ბუკისციხე-ზემოსურების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 532,0 ათასი ლარით, რამაც გეგმის (532,2 ათასი ლარი) 99,9 პროცენტი შეადგინა.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის სუბსიდირება. რომლის ფარგლებშიც, როგორც კურორტ ბახმაროს ასევე მთელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოველდღიურად ტარდება დასუფთავების ღონისძიებები, რაც მათ შორის გულისხმობს 120 ცალი სანაგვე ურნის მომსახურებას. ასევე ხორციელდებოდა 2500 ერთეულამდე გარე განათების წერტილის მომსახურება და მუნიციპალიტეტის გამწვანების ღონისძიებების ხელშეწყობა (სკვერების მოვლა პატრონობა, სხვადასხვა ნარგავების განახლება, შებარვა, შეწამვლა, გასხვლა და სხვა.

დაბა ჩოხატაურში და სოფლებში: ზემო ფარცხმა, შუა ფარცხმა, გუთური, დაბლაციხე და გოგოლესუბანში მოეწყო გარე განათების ახალი ქსელები.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 2359,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2527,7 ათასი ლარი) 93,4%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაბა ჩოხატაურში აგრარული ბაზრის რეაბილიტაცია, სოფლებში – ამალღება, სამება, ხევი, ქვენოუბანი, ბუკნარი და კოხნარში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, დაბა ჩოხატაურში გამგეობის მიმდებარედ სკვერის მშენებლობა, სამხატვრო გალერეის შენობის რეაბილიტაცია, სოფელ ზემო ფარცხმის, ბუკისციხის, შუა ამალღების კულტურის სახლების რეაბილიტაცია, დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა, სოფლებში – ზემო სურები, ზემოხეთი, ჩომეთი, გორაბერეჟეული, დიდვანი და წიფნარში მგზავრთ მოსადელების მშენებლობა და სხვა ღონისძიებები და აგრეთვე დაფინანსდა შენობებისა და მიწის ნაკვეთების პასპორიზაცია, პროექტების მომზადება და სხვა ღონისძიებები.

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში გახარჯული იქნა 588,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (627,6 ათასი ლარი) 93,7 პროცენტია. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების დაფინანსება. კერძოდ, სოფელ ბუკისციხეში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების მოწყობა, სასაფლაოს ჭიშკრის შექმნა, წყლის მიღების შექმნა, წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია, წისქვილის მშენებლობა, სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია; სოფელ ამაღლებაში: შიდა გზების შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, მერეს საყანე ფართობის შემოღობვა, წყლის მიღების შექმნა; სოფელ გოგოლესუბანში – შიდა გზების შეკეთება, მიღებისა და სასაფლაოს არხების გაწმენდა, ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია; სოფელ გორა ბერჟულში ცენტრალური გზის ორმული შეკეთება, გარეგანათების მოწყობა; სოფელ გუთურში – შიდა გზების შეკეთება, მიღებისა და სასაფლაოს არხების მოწყობა, რკინა ბეტონის მილხიდის მოწყობა, ხრეშოვანი გზის შეკეთება; სოფელ დაბლაციხეში – შიდა გზების მოხრეშვა, სასაფლაოს არხებისა და მილხიდების მოწყობა; სოფელ ერკეთში – ზემო ერკეთის გარე განათების მოწყობა, ზემო ონჭიკეთის გარე განათების მოწყობა, ქვემო ერკეთის სასაფლაოს არხების მოწყობა, ქვემო ონჭიკეთის გარე განათების მოწყობა და ქსელთან მიერთება, სოფელ შუბანის გარე განათების მოწყობა; სოფელ ზემო სურებში – ზემოსურების ქადაგაურზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია, თავსურების სარიტუალო დარბაზის ინვენტარის შექმნა, ტობახჩოს გზის გაფართოება, სასაფლაოს არხებისა და მილხიდების მოწყობა, ჩაკიტაურის წისქვილის რეაბილიტაცია და შიდა გზების შეკეთება, წითელგორის ხიდის მშენებლობის დასრულება; სოფელ ზემოხეთში – თხილგანის, განთიადისა და გოგოურის შიდა გზების შეკეთება; სოფელ ზომლეთში – ზომლეთის საყანე ფართობის შეღობვა მერეს ფართობში, ვანის გარე განათების მოწყობა; სოფელ ზოტში – სასაფლაოს შემოღობვა და სასაფლაოს ტერიტორიიდან ქვა ღორღის გატანა, სოფლის შესასვლელში მინიშნების მოწყობა; სოფელ კოხნარში – კოხნარის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, ბურნათისა და წიფნარის შიდა გზების მოწყობა, ნაკადულის ახალგაზრდული ცენტრისთვის შენობის შექმნა და რეაბილიტაცია; სოფელ ნაბელღავში – ნაბელღავის შიდა გზების შეკეთება, თავპანტაში ბიბლიოთეკის ოთახების რეაბილიტაცია, ქვაბლას შიდა გზების რეაბილიტაცია, ჩხაკაურას სასაფლაოს შემოღობვა; სოფელ საჭამიასერში –

ხვემოხეთის ყოფილი დაწყებითი სკოლის პირველი სართულის რეაბილიტაცია, შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხის მოწყობა, სასმელი წყლის მიღების შექმნა, ჩომეთის შიდა გზების რეაბილიტაცია, სასაფლაოს შეღობვა და სასმელი წყლის მილის შექმნა, კალაგონის შიდაგზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, წყლის მილის შექმნა, მამულარის მინი სტადიონის მოწყობა; სოფელ ფარცხმაში – ზემო ფარცხმის შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების, მილხიდების, გარე განათების მოწყობა, წისქვილი ელექტოფიცირება, შუა ფარცხმის სასაფლაოს შემოღობვა, გარე განათების მოწყობა, ამბულატორიის ავეჯის შექმნა; სოფელ ქვენობანში – ქვენობანის შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა, ბასილეთის სოფლის კლუბის რეაბილიტაცია, ბუკნარის შიდა გზები, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, სასაფლაოს ეზოში სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფლის კლუბისა და წისქვილი ქსელთან მიერთება; სოფელ შუა ამაღებაში – სარიტუალო დარბაზის ინვენტარის შექმნა; სოფელ შუა სურებში – წყლის სისტემის მოწყობა (სოფლის ცენტრში), ქალის წისქვილი არხის შეკეთება, კოხის უბანში ხიდის საპირკველის მოწყობა, შიდა გზების რეაბილიტაცია; სოფელ ჯვარცხმაში – ჯვარცხმის გარე განათების რეაბილიტაცია, ვაზიანის გარე განათება და შიდა გზების შეკეთება; სოფელ ხევში – სოფლის ცენტრში მშენებარე საბავშვო ბაღის წყლის შეყვანა, ბჟოლეთის ცენტრში საფეხბურთო სტადიონის მოწყობა, ბუქსიეთის გარე განათება და სარიტუალო დარბაზის ინვენტარის შექმნა; სოფელ ხიდისთავში – ხიდისთავის ცენტრში საპირფარეშოს მშენებლობა და გარე განათების მოწყობა, ახალშენის საყანე ფართის შემოღობვა, ზენობანის შიდა გზების რეაბილიტაცია, მეწიეთის შიდა გზების რეაბილიტაცია, წიფნაგვარაში გარე განათება, ჭაჭიეთში გზის სანიაღვრე არხის მოწყობა და მინი სტადიონის შეკეთება, გურისტყეში და დაღმა დობიროში ამბულატორიის რეაბილიტაცია.

2.5 სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2015 წლის განმავლობაში 1020,4 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 1397,1 ათასი ლარის 73%. ამ მიზნით განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიებები: სოფ. მეწიეთში გზის შეკეთების და გაბიონის მოწყობის, სოფ. ახალშენში მდ.გუბაზეულზე ხრემის დამბებისა და გაბიონის მოწყობის, დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქუჩაზე დ= 1500 მმ წყალგამტარი მილის მოწყობის, ნინოშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხებისა და წყალგამტარი მილების მოწყობის, დუმბაძის ქუჩაზე 4 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე

